ვებგვერდზე www.tbcleasing.ge განთავსებული ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 20.3. პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ლიზინგი“ (ს/კ 205016560) გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 1. მუხლში შემავალი შემდეგი ტერმინების განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

სალიზინგო ფინანსური ხარჯები	სალიზინგო ფინანსური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ფინანსურ ხარჯებს, რომლის გაწევის შედეგადაც ლიზინგის მიმღებს გადაეცემა გარკვეული მომსახურება ან საქონელი რომელიც დაკავშირებულია სალიზინგო აქტივით სარგებლობის უფლებასთან: ▪ **საპროცენტო სარგებელი;** ▪ **მიწოდების პერიოდზე დარიცხული სარგებელი;** ▪ **ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე დარიცხული სარგებელი;** ▪ **ლიზინგის გამცემის მიერ გაწეული მომსახურების საფასური და (საკონსულტაციო, საშუამავლო, ქონების ინსპექტირების, ქონების ღირებულების შეფასების და სხვა ტიპის მომსახურებების საფასური,) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოები (გაცემის, რესტრუქტურიზაციის, ვადამდე გამოსყიდვის საკომისიოები);** ▪ **ლიზინგის გამცემის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამა თუ იმ პირობის შეუსრულებლობისთვის დაწესებული/მოთხოვნილი ხარჯი, როცა ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში ჩადებული ამ პირობის შესრულება არ მოითხოვება ცალსახად ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის შემდეგ, არამედ შესაძლებელია ამ პირობის შესრულების მოთხოვნა/შემოწმება განხორციელდეს ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემამდეც;**
ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანება	ვადამდე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის თანხა, რომლის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: • **ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში დაგროვილი გადაუხდელი ვადაგადაცილებული სალიზინგო საზღაურების ჯამი;** • **ლიზინგის ნარჩენი ძირი** • **დარიცხული ფინანსური და არაფინანსური ხარჯი;** • **საშეღავათო პერიოდის ნამეტის ნარჩენი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);** • **ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ლიზინგის გამცემმა დამატებით გასწია ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო;** • **პირგასამტეხლო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისთვის;** • **პირგასამტეხლო ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების ვადაგადაცილებისთვის;** • **ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება fair value და ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანებას შორის სხვაობა. იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანებაზე ნაკლებია, მათ შორის სხვაობა დაეკისრება ლიზინგის მიმღებს.**

<u>დაემატოს ხელშეკრულების 1. მუხლს შემდეგი ტერმინი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე დარიცხული სარგებელი	ფინანსური ხარჯის კომპონენტი, რომელიც ლიზინგის საპროცენტო განაკვეთით ერიცხება ლიზინგის ნარჩენ ძირს, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან, ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ფაქტობრივად დაბრუნებამდე პერიოდზე;

<u>დაემატოს ხელშეკრულების 4. მუხლს 4.7.4. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

4.7.4. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები არ დააბრუნებს ლიზინგის საგანს ლიზინგის გამცემის მფლობელობაში შეტყობინებაში მითთებულ ვადაში. ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ პირგასამტეხლო დაერიცხება ლიზინგის ნარჩენ ძირს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე;